ეკატერინე ანთია

DOI: https://doi.org/10.52340/zssu.2023.15.04

გვარი ანთიას ეტიმოლოგიისთვის

(ჭკადუაშის მასალების მიხედვით)

აბსტრაქტი: *პუბლიკაციაში გადმოცემულია სამეგრელოში გავრცელებული გვარ-სახელის „ანთიას“ ისტორიული წარმომავლობა და ეტიმოლოგიური ევოლუცია. დოკუმენტური წყაროები, მეცნიერთა კვლევები თუ ხალხური გადმოცემა გვარის წარმოშობის შესახებ რამდენიმე ვერსიითაა წარმოდგენილი. გვარი პირველად დოკუმენტურ წყაროებში 1682 წელს იხსენიება და დაკავშირებულია ფარემუზ ანთიასთან. მკვლევრებს სხვადასხვა მოსაზრება აქვთ გამოთქმული გვარ-სახელ ანთიასთან დაკავშირებით: ანთია, როგორც სახელი „წმინდანთა ცხოვრებიდან“, კავშირი წარმართულ ღვთაება „ანთართან“, ინფორმატორის მიერ გადმოცემული ისტორია, რომ ანთაძეების ოჯახი, საიდანაც შესაძლოა ეს გვარი წარმოიშვა, გურიიდან სამეგრელოში ჩამოსახლდა.*

საკვანძო სიტყვები: *ანთია, ანთაძე, ანთიძე, ანთარი, ორკინე.*

სოფელ ჭკადუაშის ისტორია და მისი ცალ-ცალკე ადგილების დასახლება მჭიდროდ დაკავშირებულია ადგილობრივ გვარებთან. წინამდებარე პუბლიკაციის მიზანია ისტორიულ მასალებზე დაყრდნობით მკითხველს გააცნოს სოფელში გავრცელებული “ანთია” გვარ-სახელის ეტიმოლოგია. „ქართველს ყოველთვის აინტერესებდა, როგორც საკუთარი, ისე სხვათა გვარების ისტორია. ოჯახის შექმნისას, უპირველეს ყოვლისა, საქორწინო პარტნიორის გვარ-სახელს კითხულობდნენ. მას მნიშვნელოვანი სოციალური ფუნქციები გააჩნდა და დიდი ნათესაური გაერთიანების აღმნიშვნელი იყო“ (თოფჩიშვილი 2021: 3).

გვარ-სახელების კვლევამ საუკუნეების განმავლობაში გარკვეული ისტორიული გზა განვლო. გვარის ძიებისთვის მნიშვნელოვანი წყაროა საისტორიო და საეკლესიო დოკუმენტები, მოსახლეობის კამერალური აღწერა, ქართული სამართლის ძეგლები, წინაპართა მიერ გადმოცემული ისტორია გვარისა და ოჯახის ფუძის ხატის (ჯინჯიშ ხატის) შესახებ. „ანთროპონიმად წოდებული პირველი საკუთარი სახელი გაჩნდა სამყაროს შექმნის მეექვსე დღეს. ადამიანის გაჩენასთან ერთად უფალი იყო შემოქმედი პირველი ადამიანისაც და პირველი საკუთარი სახელისაც „და დაარქვა ღმერთმა კაცს სახელი ადამი“ (გოდერძიშვილი 2012: 11).

გვარი ანთიას წარმომავლობასთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა ვერსია. ანთია, როგორც სახელი, გვხვდება „წმინდანთა ცხოვრებაში”, სადაც მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდანთა სიაში, ანბანურად წარმოდგენილ წმინდანთა შორის იხსენიება რომაელი დიდგვაროვანი წმინდანი ანთია. „წმინდა მოწამენი: ელეფთერი, დედა მისი ანთია და კორივ ეპარქი. ელეფთერის დედა დიდგვაროვანი და მდიდარი რომაელი ქალი იყო. მან, ქრისტიანობაზე პავლე მოციქულის მიერ მოქცეულმა და მისი ხელითვე მონათლულმა, შვილიც მოქცეულმა და მისი ხელითვე მონათლულმა, შვილიც ღვთისმოშიშებით აღზარდა. როცა ელეფთერის თხუთმეტი წელი შეუსრულდა, რომის პაპმა, ანაკლეტუსმა (76-88) იგი დიაკვნად აკურთხა, სამი წლის შემდეგ კი - მღვდლად დაასხა ხელი. ოცი წლის ასაკში ელეფთერი (ასეთი შემთხვევები ძალიან იშვიათია ეკლესიის ისტორიაში) ილირიის ეპისკოპოსად დაადგინეს. ახალგაზრდა მეუფე ბრძნულად განაგებდა სამწყსოს და მრავალ წარმართი მოაქცია ქრისტეს სჯულზე. წმინდანი ღვთაებრივი მადლით იყო აღსავსე, მთლიანად უფალს იყო მინდობილი და ამიტომაც მის ყოველგვარ უძლურებასა და ადამიანურ ნაკლს სულიწმიდის მადლი აღავსებდა. როცა ღვთისმოძულე იმპერატორმა ადრიანემ (117-138) ქრისტიანთა დევნა დაიწყო, ეპისკოპოსი ელეფთერიც შეიპყრეს. ღვთის ძალით დაცული ელეფთერმა გაბედულად აღიარა ქრისტე, მეფის ურჯულოება ამხილა და ილოცა თავისი ჯალათების მოქცევისათვის. როცა ადრიანემ იხილა, რომ ელეფთერის წამებით ვერაფერს ვნებდა,

ბრძანა ორი გახელებული ხარისთვის მიებათ იგი, მაგრამ ამჯერადაც ვერ ეწია საწადელს; უფლის ანგელოზმა საკვრელები გაწყვიტა, ჯალათების ხელიდან დაისხნა წმიდა მოწამე და ქალაქის მახლობლად მდებარე ერთი მთის მწვერვალზე დასვა. ამის შემდეგ ნეტარი ელეფთერი მხეცებს შორის ცხოვრობდა. როცა ეს ადრიანემ შეიტყო, მხედრები გაგზავნა უფლის რჩეულის შესაპყრობად. წმიდა ელეფთერი თავად ჩაბარდა მეომრებს. ურჯულო მეფის ბრძანებით ელეფთერს თავი მოჰკვეთეს. წმიდა ანთია მადლობდა უფალს, რომელმაც მისი ძე ქრისტესთვის ვნების ღირსი გახადა. ამის შემდეგ ანთიაც თავის მოკვეთით დასაჯეს. ეპარქმა კოროვმა ირწმუნა ქრისტე, რისთვისაც ისიც სიკვდილით დასაჯეს. მართლმორწმუნეებმა უფლის რჩეულთა ცხედრები პატივით დაკრძალეს“ (წმინდანთა ცხოვრება 2003). როგორც მასალიდან ჩანს, პირსახელი ანთიასგან მივიღეთ ეპონიმი, განსაკუთრებით დღეისთვის ფართოდ გავრცელებული გვარი ანთია.

პირველად როგორც გვარი - ანთია - წყაროში იხსენიება აფხაზეთის კათალიკოსის დავით ნემსაძის ბიჭვინთის საბუთში 1682 წელს ფარემუზ ანთიას სახით, რომელსაც ნაყმევი ჰყოლია ეჯიბია: „კურთხევით კურთხეულმა ჩრდილოსა და აფხაზეთის კათალიკოზმან ნემსაძემ პატრონმა დავით შემოგწირეთ მცირე და კნინი ესე შესაწირავი თქუენდამი წელს ცათა მიბაძავს და ქერაბიმთა უწმინდესსა ბიჭვინტისა ღვთიშობელსა ეჯიბია კიკოლაია და მისი ცოლი, ასრე რომ ფარემუზ ანთია ყვანდა ჯერ მინანდვი... ჩვენ შემოგვეხვეწა და ყმა არც ანთიასი იყო და არც სადადიანო კაცი იყო და დავაყენეთ და ბიჭვინთის ღვთისმშობელს შევწირეთ“ (ხეც 77). როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, ფარემუზ ანთია გააზნაურების გზაზე მდგარი გლეხი იყო, რომელსაც ყმა-გლეხი ეჯიბია მიენდო.

ნიშანდობლივია, რომ მკვლევრებს გვარ-სახელ ანთიას შესახებ სხვადასხვა მოსაზრება აქვთ გამოთქმული. ი. ყიფშიძე აღნიშნავს, რომ „ანთარი - არის ჟინი ღორონთი - ზედა ღმერთი და აქედან არის წარმომდგარი გვარი ანთია, ანთელავა, ქანთარია“ (ყიფშიძე 1915: 132). ი. ჯავახიშვილის შეხედულებით - ანთა ქართველთა წარმართული ღვთაება ანთარის ბოლომოკვეცილი ფორმაა, რომელიც საკუთარ

სახელად ქცეულა (ჯავახიშვილი 1919: 115). ა. ტუღუში ანთარის ეტიმოლოგიას ასე განსაზღვრავს: „ანთარი უნდა ნიშნავდეს „დიდს“ ან „უპირველეს“, რომელიც ადრე ცის ღვთაება უნდა ყოფილიყო (ტუღუში 1991: 158). სრულად განსხვავებული მოსაზრება აქვს გამოთქმული გვარის წარმომავლობასთან დაკავშირებით ი. მაისურაძეს: „ანთები იყვნენ ქართველთა მონათესავე ტომები, რომლებსაც ეკავათ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო და ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ქართველებთან. ამაზე მოწმობს დღემდე შემორჩენილი ქართული გვარები, როგორიცაა: ანთია, ანთაძე, ანთიძე, ანთელავა და სხვა (მაისურაძე 1987). ანთი გურიაში წითელი კაცის აღმნიშვნელი სიტყვა ყოფილა - წერს ზ. ჭუმბურიძე, რომელიც გვარის წარმომავლობას ფერთან აიგივებს და მიუთითებს, რომ აქედან არის წარმომდგარი გვარები როგორიცაა: ანთაძე, ანთია (ჭუმბურიძე 1993: 65). იგივე მოსაზრება აქვს გამოთქმული პ. ცხადაიასაც (ცხადაია 2000). ამ მეცნიერთა კვალდაკვალ სამეგრელოში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭკადუაშში მთხრობლის მიერ (მთხრობელი მ. ანთია) გადმოცემული ისტორიაც მიგვითითებს ანთიების ადგილის დედაზე, (ოდაბადესა) ფუძის ხატზე (ჯინჯიშ ხატზე) გურიაში და ანთაძის (ანთიძის) დასახლებაზე მითითებულ სოფელში. „გურიაში ანთაძეები აზნაურები და ცნობილი მონადირეები ყოფილან. სოფლის უბირი ბიჭის მიერ მონადირე ძაღლის მკვლელობა გახდა მიზეზი, რომ ანთაძეს მშობლიური ადგილის დედა დაეტოვებინა და ცოლ-შვილით შედარებით უვნებელ ადგილას, დაუსახლებელ ტყით დაბურულ, სანადიროდ ცნობილ სოფელ ჭკადუაშისთვის შეეფარებინა თავი. დადიანები თურმე სანადიროდ ამ ადგილებში ეპატიჟებოდნენ სტუმრებს. აფხაზეთის მთავრის სტუმრობას სამეგრელოს დადიასთან (დადიანთან) კორცხელში ნადირობის ჟინის მოკვლის გარეშე არ ჩაუვლია[1]. გასწიეს იქ, სადაც ეგულებოდათ სანადიროდ განთქმული ადგილები და თავს იყრიდა ირმების, შვლების რემა. კორცხელის დადიამ (იგივე დადიანი) იცოდა, თუ რა დროს მოდიოდნენ ირმები წყლის დასალევად წყაროსთან (წყარო დღესაც არსებობს).

[1] სტილი დაცულია. როგორც ჩანს, აქ საუბარია სამეგრელოს ერთ-ერთ მთავარ დადიანზე. ეს გადმოცემა ამყარებს მოსაზრებას კორცხელში ჩიჟიშ-კარის სამთავრო რეზიდენციის არსებობის შესახებ.

აფხაზეთის მთავარმა არ ესროლა წყურვილის დასაოკებლად მოსულ ნადირს და გარინდებული მიაჩერდა შემაღლებულ ადგილს. გაუკვირდა კორცხელის დადიას და დაუძახა: მთავარო, რატომ არ ესვრით? აი, ეგერ ანთია – უპასუხა მთავარმა. დანთებულმა ცეცხლის კვალმა გასცა დევნილი. დაუძახეს, მიიპატიჟეს, მაგრამ გურული ანთაძე ფრთხილად იქცეოდა და ფიცი მოსთხოვა მთავარს. შეჰფიცა დადიამ ზევით ღმერთს და ქვევით დედამიწას, - ვფიცავ, არ გიღალატებო. იგივე ფიცით შეჰფიცა ანთაძემ, გამოიყვანა ცოლ-შვილი, ბავშვი ფიცარზე ჰყავდათ დაკრული და ეახლნენ მთავრებს. ანთაძე დაუფარავად მოუყვა მთავარს, თუ როგორ გახდა იძულებული დაეტოვებინა მშობლიური კუთხე. ყოველივეს მოსმენის შემდეგ კორცხელის დადია შეჰპირდა ანთაძეს, რომ მათი მოდგმა არასოდეს არ იქნებოდა მთავრის ყმა და იქნებოდა თავისუფალი. ჭკადუაშის იმ ადგილიდან წამოიყვანა, სადაც ანთაძე იყო შეფარებული. სამოსახლო გამოუყო და დაასახლა სოფელ კორცხელში, სადაც დღესაც არის ადგილი ორკინე, რომელსაც ადგილობრივი მკვიდრნი ნაანთუს (ნაანთურს) უწოდებენ.”

ფაქტია, რომ გვარის წარმოშობის ამ ვერსიის ღრმად სწამთ ანთიებს, რომ ანთა-ძე შეიცვალა კოლხური სუფიქსით - ია და მივიღეთ დღეისათვის ფართოდ გავრცელებული გვარი ანთია.

როგორც ჩანს, გურიიდან სამეგრელოში მიგრაცია განუცდია წოდებით აზნაურთა ანთაძის გვარს. „აზნაურთა პირველ წოდებას მიეკუთვნება გვარი ანთაძე“(ჭუმბურიძე 1993: 30) მაგრამ, რაც შეეხება მთავრის მიერ თავისუფლად შერაცხილი აზნაური „ანთაძე“ სამეგრელოში, კერძოდ, ჭკადუაშის მაგალითზე გვხვდება წოდებით როგორც გლეხი.

სამეგრელოში ფეოდალურ იერარქიას სათავეში ედგა პირველი მემამულე - მთავარი, მის შემდეგ იყვნენ ე.წ. ბატონიშვილები, სამთავრო სახლის წევრები და მემამულეები. ერთ-ერთი ასეთი ოჯახის ცნობილი წევრი იყო ბატონიშვილი გიორგი ოტიას ძე დადიანი (1728 – 1799), რომელიც XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან იხსენიება როგორც მემამულე ჭკადუაშში. აქვე ცხოვრობდნენ ბატონიშვილის

შთამომავლები: ნიკოლოზ (დიდი ნიკო), გიორგი, ბესარიონ, პეტრე და პავლე დადიანები. ზემოხსენებულ თავადიშვილთა გლეხების სიაში XIX საუკუნის მეორე ნახევრის სამეგრელოს ეპარქიის მეტრიკულ წიგნებსა და 1860 წლის სამეგრელოს მოსახლეობის კამერალური აღწერით სხვა გვარებთან ერთად გვხვდება გვარი ანთია. აღნიშნულ პერიოდში, ჭკადუაშში სულ 22 ოჯახი იყო დაფიქსირებული, მათ შორის: სამეგრელოს სამთავროს მსაჯულთუხუცესი დიდი ნიკო დადიანი ანთიების 8 ოჯახს ფლობს, თავადი პეტრე დადიანი 5 ოჯახს, თავადი გიორგი დადიანი 7 ოჯახს, თავადი პავლე დადიანი 2 ოჯახს (ცხადაია 2000). როგორც ჩანს, დადიანებს გლეხების სიაში სულ ანთიების 22 კომლი ირიცხებოდა.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, გვარი ანთია ფიქსირდება ასევე ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების მასალებსა თუ პროზაში. ლევან V დადიანის (1805-1840) ზეობის ხანაში ყურსალების მიერ მოტაცებული ორი გლეხის თუთაშხია ანთიასა და კუზაია შელიას ამბავი გადმოცემულია ძველ მეგრულ სიმღერაში: „სი ქოულ ბატა მა დომტალენქო“ („შენ კი მიდიხარ ბატა, მე კი მტოვებ). ისინი შეუპყრიათ მდ. ენგურის სანაპიროზე სოფ. ლიაში, სადაც ადგილობრივები დღესაც უთითებენ ადგილს და ეძახიან - „კუზაიას გინადინეფუ“ („კუზაიას დაკარგვის ადგილი“), ე.ი. ადგილი, სადაც შეიპყრეს კუზაია შელია და საიდანაც გაქრა მისი კვალი. თუთაშხია ანთია ყურსალებს წებელდიდან თხილამურებით გამოქცევიათ. მას შორიდან ესმოდა თურმე კუზაიას მოთქმა-ტირილი, რომელიც მისტიროდა ტყვეობიდან გაპარულ თუთაშხიას (ქ.ც.ა. 57). თუთაშხია ანთია სახლში დაბრუნებულა, კუზაია კი საბოლოოდ დაკარგულა.

დღეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭკადუაშში, 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით, „ანთია“ გვარის 42 კომლი ფიქსირდება. გვარი ქმნის მონოგენურ დასახლებას „საანთიოს“ და მას „სამოხიოს-აც“ უწოდებენ. „სამეგრელოში ყველა სოფელი დაყოფილია სამოხიო-ებად. დაყოფა პირობითია და საფუძვლად ტერიტორიული პრინციპი უდევს. სამოხიოში თუ ვინმე გარდაიცვლება, ჭირისუფალი სამოხიოს ყველა ოჯახს იწვევს, ისინი ვალდებულნი არიან გასვენებაში მივიდნენ და „გინაფორალი“ (ზედმიწ. „გადასახურავი“) ფული მიიტანონ... სამოხიოში შედიოდნენ

გვარის შტოს წარმომადგენლები“ (სამუშია 1979: 574). მიუხედავად იმისა, რომ სამოხიო არ წარმოადგენს რთულ სოციალურ ინსტიტუტს, მასში სხვადასხვა გვარის წარმომადგენლები გვხვდებიან. ჭკადუაშში ანთიების გვარი დღემდე ინარჩუნებს სამოხიოს ფუნქციას.

მივდივართ დასკვნამდე, რომ გვარ-სახელი ანთიას წარმომავლობა შეიძლება აიხსნას როგორც რომაელი წმინდანების, ასევე ქართული წარმართული ღვთაებების სახელებით, ასევე გურიაში დაფიქსირებული ფერის აღმნიშვნელი სიტყვით. გვარ - სახელი ანთიას საბოლოო განსაზღვრისთვის საჭიროა დამატებითი კვლევის ჩატარება და ახალი მასალის მოძიება, რაც მომავლის საქმეა.

წყაროები და ლიტერატურა:

გოდერძიშვილი ქ., *ქართული ანთროპონიმიკის ძირითადი საკითხები,* თბ. 2012.

თოფჩიშვილი რ., *საქართველოს თავად - აზნაურთა გვარების ისტორია,* თბ., 2021.

მაისურაძე ი., *ქართული გვარ-სახელები,* თბ.1987.

სამუშია კ., *ქართული ხალხური პოეზიის საკითხები (მეგრული ნიმუშების მიხედვით,* თბ. 1979.

ტუღუში ა., *ანაკლიის ისტორია,* თბ. 1991.

ქ.ცა.ა. ფ.18. ს. 814 Подворная опись временний обязанныя крестяная зугдидского уезда.

ქაჯაია ო., *მეგრულ-ქართული ლექსიკონი,* ტ II, თბ. 2002.

ყიფშიძე ი., *მეგრული ენის გრამატიკა ტექსტებით და ლექსიკონი,* თბ. 1915.

ცხადაია პ., *გვარები და გვართა დასახელებანი სამეგრელოში,* თბ.,2000.

წმინდანთა ცხოვრება, ტ.4, თბ. 2003.

ხეც: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი ad -225; ს.კაკაბაძე დას. საქ-ოს საეკლესიო საბუთები, წიგნი I, ტფ. 1921.

ჭუმბურიძე ზ., *რა გქვია შენ?* თბ. 1992.

ჭუმბურიძე ზ., ქ., ჩხარტიშვილი, *გურიის თავადთა და აზნაურთა ოჯახები,* თბ.1993.

ჯავახიშვილი ი., *ქართველი ერის ისტორია I,* თბ,1919.